ოქმი:**ო63.6322278001**
თარიღი:**05/10/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 41

ქ. სამტრედია. 29 სექტემბერი, 2022 წელი.

2022 წლის 29 სექტემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე მ.შ. ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, ლიზა კრავეიშვილი მ.შ. ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-6363213542 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

5. ინფორმაცია,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის აგვისტოს თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 999.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.62.476), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 18.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.48.696), ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე, 21.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი,ს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.836), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე, 80.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.308), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე, 50300.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.339) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე, 6762.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.49.517) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

7. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) მეორე სართულზე არსებული 11.1 კვ.მ. ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

8. ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე, №1 შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ,,ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი-412767448) გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

9. ქალაქ სამტრედიაში, ჭანტურიას ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული, 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.972) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

10. ქალაქ სამტრედიაში, წინსვლის ქუჩაზე მდებარე, 55555.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.61.123) 2017 წლის 24 მაისის იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის 25 წლით განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე, 91022.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.097) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

12. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში განსახორციელებელი 18 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 6117.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.50.422) - სამედიცინო ამბულატორიის სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ტ.ცომაია/

14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე, 1248.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 (საერთო ფართი 225.8 კვ.მ) და №2 (საერთო ფართი 38.4 კვ.მ) შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.44.096) - სამედიცინო ამბულატორიის სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

15. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133717 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

16. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133716 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

17. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

18. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

19. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ი.მელაშვილი/

20. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 9 სექტემბრის** N: 62-622225230, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი"- ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში თანხა მცირდება 2.85 ათ. ლარით, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯების მუხლში 0.50 ათ.ლარით, ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით და შესაბამისად, თანხა იზრდება მივლინების მუხლში ,,მივლინება ქვეყნის გარეთ'' 4.85 ათ.ლარით, აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია კლუბის სამბისტის, გიორგი ზაქარიაძის, ევროპის ჩემპიონატზე მივლინებისათვის, საჭირო თანხის უზრუნველსაყოფად.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 23 სექტემბრის** N62-622226640, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგემაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, კვების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 23,0 ათასი ლარით (ტენდერებში დარჩენილი ეკონომიიდან გამომდინარე), ასევე, არაფინანსურ აქტივებში არასაცხოვრებელი შენობების ხარჯის მუხლში 12,0 ათასი ლარით (რემონტის ტენდერში დარჩენილი ეკონომიიდან გამომდინარე), სულ - 35,0 ათასი ლარით. შესაბამისად შრომითი ხელშეკრულების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება (ჰასპის პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით) 10,0 ათასი ლარით; ტრანსპორტის ხარჯის მუხლში 1,0 ათასი ლარით; სამეურნეო საქონლის ხარჯის მუხლში 4,0 ათასი ლარით; სანიტარული საგნების შესაძენად ხარჯის მუხლში 3,0 ათასი ლარით; წყლის ხარჯის მუხლში 3,0 ათასი ლარით; თხევადი აირის ხარჯის მუხლში 2,0 ათასი ლარით; ასევე, არაფინანსურ აქტივებში სხვა მანქანა-დანადგარების ხარჯის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული თანხა იზრდება (ღანირის ბაღში ატრაქციონის შესაძენად) 12,0 ათ. ლარით. სულ - 35,0 ათასი ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ.

მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 7 სექტემბრის** N: 62-622225084 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, ოფისის ხარჯის მუხლიდან 0.2 ათ.ლარი გადაიტანება მუხლში ,,მივლინება ქვეყნის შიგნით''.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 22 სექტემბრის** N 62-622226529 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ოფისის მუხლში, ,,სამსახურებრივი ცხოველების მოვლა-შენახვის და აღკაზმულობასთან დაკავშირებული ხარჯი'' თანხა მცირდება 0.50 ათ.ლარით; რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში, ,,სპორტული ღონისძიებების ხარჯი'' -0.60 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯის მუხლში 3.00 ათ.ლარით, ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯის მუხლში 1.30 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება საკვების ხარჯის მუხლში 5.0 ათ.ლარით. ასევე სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით (დროშების შესაძენად).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 სექტემბრის** N: 62-622225575, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის რვა თვის შესრულებას და შესრულების ანალიზს თანდართული ფორმების მიხედვით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

შვიდ თვეში ბიუჯეტის მიმართ ხუთჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 35869,8 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 17112,0 ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 12188,8 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის აგვისტოს თვის შემოსავალმა შეადგინა 18945,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 82,9 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 11100,5 ათასი ლარი, რაც აგვისტოს თვის გეგმის 96,2 %-ია, დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 9064,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა- 99,6 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 70,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 15,8%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 1965,3 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა -99,2 %-ით.

სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხულმა ტრანსფერის ოდენობამ შეადგინა -5810,8 ათასი ლარი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან რვა თვეში მიღებულია 1560,8 ათასი ლარი, გეგმა 1540,6 ათასი ლარი, შესრულება (101,3%) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 74,4 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -516,0 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 248,5 ათასი ლარი, დასუფთავების

მოსაკრებელი - 112,6 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი - 398,2 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 20,8 ათ.ლარი, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 114,2 ათ.ლარი და სხვა შემოსავლები - 76,1 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალია -473,8 ათ.ლარი, კერძოდ შემოსავალი ძირითადი ქონების გაყიდვიდან - 93,8 ათ.ლარი და შემოსავალი მიწის გაყიდვიდან -380,0 ათ.ლარი,გეგმა შესრულდა 117,3%-ით.

ხოლო, რაც შეეხება 2022 წლის აგვისტოს თვის შემოსულობების შესრულების შედარებას 2021 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტთან (12604,2 ათასი ლარი), შემოსულია 6341,7 ათასი ლარით მეტი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის აგვისტოს თვის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 17266,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 67,8%-ია (აგვისტოს თვის გეგმა -25464,4 ათასი ლარი).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 სექტემბრის** N62-622226379 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 999.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების), საკადასტრო კოდი №34.02.62.476), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 18.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.48.696), ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 21.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.836), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე, 80.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.308), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე 50300.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.339) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე, 6762.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.49.517) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად 1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 999.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.62.476) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 18.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.48.696) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 540 (ხუთას ორმოცი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

3. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მდებარე, 21.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.836) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს

მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

4. ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე, 80.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.308) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 3200 (სამი ათას ორასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე, 50300.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.339) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 31000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 14000 (თოთხმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე, 6762.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.49.517) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

- პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 3800 (სამი ათას რვაასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის ,,**5.5.''** **ქვეპუნქტით საგარანტიო თანხა განსაზღვრულია 14000 (თოთხმეტი ათასი) ლარი.** ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ იმსჯელა აღნიშნულთან დაკავშირებით და მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რომ ბიჯის თანხა შემცირდეს და განისაზღვროს 7000 (შვი ათასი) ლარით. გთხოვთ, კენჭისყრაზე დააყენოთ საკითხი.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი - განხორციელდეს ცვლილება და პროექტის ,,5,5'' პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,, 5.5. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე, 50300.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.339) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით''.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ შეიცვალოს ქვეპუნქტი ,,5.5'' და ის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **,,**5.5. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე, 50300.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.339) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით''.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, შესაბამისი ცვლილებით (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 სექტემბრის** N62-622226379 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) მეორე სართულზე არსებული 11.1 კვ.მ. ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-ს, (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე, შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) მეორე სართულზე არსებული 11.1 კვ.მ ფართი.

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სკოლამდელი

აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება”-ს, მეორე სართულზე არსებული 11.1 კვ.მ ფართი თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება”-ს არსებობის ვადით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 სექტემბრის** N62-622226379 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე, №1 შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის, ,,ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის”, (საიდენტიფიკაციო ნომერი-412767448) გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის”, (საიდენტიფიკაციო ნომერი-412767448) პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს, ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ ფართი.

- პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების სარგებლობის ვადად განისაზღვროს 02 (ორი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 სექტემბრის** N62-622226379 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, ჭანტურიას ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.65.079) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქალაქ სამტრედიაში, ჭანტურიას ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.972) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადასცეს ციცინო თევზაძეს.

- აღნაგობის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 7 (შვიდი) წელი.

- მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.972) სარგებლობის ქირის წლიურ საფასურად (ქირის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარი (7 წლის საფასური (ქირა) 8400 (რვა ათას ოთხასი) ლარი).

- სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჭანტურიას ქ. N2-ში არ მდებარეობს პროექტში მითითებული 20,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ამიტომ საჭიროა მოხდეს კორექტირება და სათაური, ასევე მთლიან პროექტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება: ნაცვლად ,,ქალაქ სამტრედიაში, ჭანტურიას ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ. ''-სა ჩაიწეროს **,,ქალაქ სამტრედიაში, ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე ავტოსადგურის ტერიტორიის მიმდებარედ არსებული, 20 კვ.მ.''**

კენჭი ეყარა აღნიშნულ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), განხორციელდა ცვლილება წარმოდგენილ განკარგულების პროექტში.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), შესაბამისი კორექტირებით, საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 სექტემბრის** N62-622226379 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, წინსვლის ქუჩაზე მდებარე, 55555.00 კვ.მ. სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.61.123) 2017 წლის 24 მაისის იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის 25 წლით განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ ქალაქ სამტრედიაში, წინსვლის ქუჩაზე მდებარე, 55555.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.61.123) 2017 წლის 24 მაისის იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წლით. მოიჯარე პაატა თავაძე.

- სარგებლობის ქირის წლიურ საფასურად (ქირის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 1680 (ათას ევსას ოთხმოცი) ლარი.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ მოიჯარემ მოითხოვა საიჯარო ვადის გაზრდა 25 წლამდე. 2017 წლის 24 მაისის იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრული იყო 15 წლიანი იჯარა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნებას აქვს სურვილი ჩაერთოს პროექტში ,,აწარმოე საქართველო-დანერგე მომავალი'', რომლისთვისაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს 10 წლიანი იჯარა მაინც, ვინაიდან იჯარა უკვე 10 წელზე ქვემოთ არის, ითხოვს იჯარის ვადის მომატებას.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 სექტემბრის** N62-622226379 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე, 91022.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.097) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საფასურის დადგენის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე, 91022.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.097) პირდაპირი განკარგვის

წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასცეს ემელიანე კილაძეს.

- იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 24 (ოცდაოთხი) წელი.

- მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.097) სარგებლობის ქირის წლიურ საფასურად (ქირის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 12306 (თორმეტი ათას სამას ექვსი) ლარი.

- იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული 9 ჰექტარი მიწა 2022 წლის სექტემბერში, საკრებულოს თანხმობით, 6 თვით მივეცით ემელიანე კილაძეს. ეს მიწა მას ჭირდებოდა კომპოსტირებისათვის. ამავე პიროვნებას, აუქციონის წესით ნაყიდი აქვს მიწა მელაურში, რომელშიც ვერ შევიდა საზღვრების დაუდგენლობის გამო. საქმე სასამართლოშია და წარმოადგენს დავის საგანს. ემელიანემ გააკეთა შემოთავაზება - დათმობდა 14 ჰა მიწის ნაკვეთში მელაურში 6 ჰა მიწის სანაცვლოდ ბაშში. რომლის მიმდიარედ მას კიდევ აქვს მიწის ნაკვეთები და ხელსაყრელია მისი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის.

ომხსენებელმა აღნიშნა, რომ ემელიანე კილაძე არის ძალიან კარგი, მშრომელი ახალგაზრდა, რომელსაც უამრავი ხალხი ჰყავს დასაქმებული და ინვესტიციებს ახორციელებს. ამიტომ ვაძლევთ რეკომენდაციას მერიას, იხელმძღვანელოს იმ ფასით, რა ფასიც აქვს მას გადახდილი 20,0 ჰა. მიწაში, რომელზეც გაშენებული აქვს მოცვი. ანუ ხორციელდება ადგილმონაცვლეობა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 20 სექტემბრის** N62-622226353 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში განსახორციელებელი 18 პროექტის მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში განსახორციელებელი 18 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		შენიშვნა (რეგიონული განვითარების ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ თანადაფინანსება	
	1	2	3	7
1	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ჯიხაიშში N18 ქუჩაზე ასფალტ- ბეტონის მოწყობის სამუშაოები	309304	15466	293838
2	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ღანირში გვილავების უბანში I მონაკვეთზე ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები	292268	14614	277654
3	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ღანირში გვილავების უბანში II მონაკვეთზე ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები	343118	18156	324962
4	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ჯიხაიშში ე.წ. ნიგვზების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	273854	13693	260161
5	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველ ნიგორზღვაში გზის გასაყარიდან სკოლამდე ა/ ბეტონის მოწყობის სამუშაოები	304082	15205	288877
6	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. გომში ე.წ. ,,ჯინჭარაძეების უბნის გავლით სოფ. გომმუხაყრუა-გომნატეხების დამაკავშირებელ გზაზე ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები	486689	24335	462354
7	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბლა ეწერში გვენეტაძეების უბნის გზაზე ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები	57221	2862	54359
8	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე ნიგორზღვაში გზის გასაყარიდან ეკლესიამდე ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები	582853	29143	553710
9	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირში წითელიშვილების დასახლებაში ა/ ბეტონის მოწყობის სამუშაოები	529892	26495	503397
10	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. საჯავახოში ე.წ. ორპირის უბანში ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები	97699	4885	92814
11	ქ. სამტრედიაში ბარამიას ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	24821	0	24821
12	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბლა გომში, სამწვადის დასახლებაში ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	434265	21714	412551
13	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბლა გომში ახალი სასაფლაოს ქუჩაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	79510	3976	75534
14	ქ. სამტრედიაში ე. მანჯგალაძის N3 ჩიხში ა/ ბეტონის მოწყობის სამუშაოები	19157	0	19157
15	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დაფნარში მე-4 და მე-3 ქუჩის გადაკვეთაზე გზის მოასფალტება	122519	6126	116393
16	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დაფნარში მე-10 და მე-11 ქუჩის გადაკვეთაზე გზის მოასფალტება	65571	3279	62292
17	სამტრედიის მუნიციპალიტეტში გომის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. გომუხაყრუაში დამცავი კედლის მოწყობა	118007	5901	112106
18	სამტრედიის მუნიციპალიტეტში გომის ადმინისტრაციულ ერთეულში შავღელეზე გზასთან დამაკავშირებელი ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია	155960	7798	148162

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 21 სექტემბრის N5/52683** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, უძრავი ქონების ა.(ა).ი.პ.-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხს. კერძოდ, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 6117.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.50.422) - სამედიცინო ამბულატორიის სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ''.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 6117.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.50.422) - სამედიცინო ამბულატორია.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 21 სექტემბრის N5/52683** წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, უძრავი ქონების ა.(ა).ი.პ.-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხს. კერძოდ, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე, 1248.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 (საერთო ფართი 225.8 კვ.მ) და №2 (საერთო ფართი 38.4 კვ.მ) შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.44.096) - სამედიცინო ამბულატორიის სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ''.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს, სამტრედიის

მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე, 1248.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 (საერთო ფართი 225.8 კვ.მ) და №2 (საერთო ფართი 38.4 კვ.მ) შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.44.096) - სამედიცინო ამბულატორია.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ზაზა ადეიშვილის, 2022 წლის 6 სექტემბრის** განცხადება. ***განმცხადებელი*** ითხოვს, საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან გამოსვლას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად შეტანილ იქნას ცვლილება **,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133717 განკარგულებაში.**

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. **გიორგი ლეჟავა - თავმჯდომარე.**
2. ლიზა კრავეიშვილი.
3. ილია მჟავია.
4. კობა ძიძიგური.
5. ლაშა გრიგოლია.
6. ლელა ჩორგოლაშვილი.
7. ნათია პაპავა.
8. ტარიელ დვალიშვილი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ზაზა ადეიშვილის, 2022 წლის 6 სექტემბრის** განცხადება. ***განმცხადებელი*** ითხოვს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიაში მუშაობას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი. რომლის თანახმად შეტანილ იქნას ცვლილება **,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133716 განკარგულებაში.**

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის** პერსონალური შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. ტარიელ ცომაია - თავმჯდომარე.
2. ავთანდილ თადუმაძე.
3. გივი ჯულაყიძე.
4. გიორგი გაგუა.
5. დავით ჯანელიძე.
6. ემზარ შუბლაძე.
7. ვალერიანე ფოცხვერია.
8. ვაჟა სტურუა.
9. ზაზა ადეიშვილი.
10. მანანა სირბილაძე.
11. პაატა კოხრეიძე.
12. ქეთევან კუტალაძე.
13. ჯონი ახობაძე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ვალერიანე ფოცხვერიას, 2022 წლის 27 სექტემბრის** განცხადება. ***განმცხადებელი*** ითხოვს, 2022 წლის 1 ნოემბრიდან კუთვნილ, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას, 24 სამუშაო დღით.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან,** ვალერიანე ფოცხვერიასთან, 2022 წლის 1 ნოემბრიდან, შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

- საშვებულებო ანაზღაურება, ვალერიანე ფოცხვერიას, მიეცეს ავანსის სახით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XVIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის მიერ, 2022 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ ამ პერიოდში სულ ჩატარდა კომისიის 14 სხდომა. აქედან
ერთი ჩატარდა გაერთიანებული ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიასთან, ერთი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა. ინფრასტრუქტურის საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებული სხდომა. ხოლო 12 იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა. იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის მიერ განხილულ იქნა 41 საკითხი.
იანვრიდან დღემდე 6 დებულება იქნა დამტკიცებული, 4 დადგენილება იქნა გამოცხადებული ძალადაკარგულად, ხოლო რამოდენიმე დადგენილებაში შევიტანე ცვლილება, კერძოდ : 2022 წლის 21 იანვრის N30, 2022 წლის 3 დეკემბრის N g 63.632133714 და Ng 63.6321333715, 2021 წლის 23 დეკემბერი Ng63.632135728, 2018 წლის 21 იანვრის N4 დადგენილებაში.
განვსაზღვრეთ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფასი.
ასევე ვმუშაობდი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2022 წლის პროგრამების დამტკიცებაზე, ვეტერანთა რაიონული ორგანიზაციის დამტკიცებაზე.
პარკირების წესის შესახებ დადგენილება დაგვრჩა დაუსრულებელი, რომელიც გადაგზავნილია მერიაში.
გარდა აღნიშნულისა, იურიდიულ დახმარებას ვუწევ ჩვენს მუნიციპალიტეტში მოქალაქეებს. არა ვარ მაჟორიტარი დეპუტატი, მაგრამ აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ სოფლის პროგრამების პრიორიტეტების შერჩევაში. ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ და ჩართული ვარ მერიაში არსებულ უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიაში.
ასევე ვარ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული კოლეგიური ორგანოს - პირის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის წევრი.

დაადგინეს: ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს

სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XIX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის, მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გაწეულ (შესრულებულ) მუშაობის შესახებ. ,,მოგეხსენებათ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N27 დადგენილებით დამტკიცებულია ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულება. ასევე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N 63220954 ბრძანებით დამტკიცებულია განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმა. რომლითაც განსაზღვრულია კომისიის ძირითადი სამუშაოები. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის 9 სხდომა. აქედან, 2 (ორი) სხდომა ჩატარდა გაერთიანებული საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიასთან და 1 (ერთი) სხდომა ჩატარდა გაერთიანებული ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიასთან. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული იქნა 8 განკარგულება და 1 დადგენილება. ასევე მოქალაქეების განცხადებები. მოგახსენებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ'', ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში (ქუჩებზე, ჩიხებზე, სკვერებზე და ა.შ) სახელის მინიჭებას.

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N63.63222484 განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიში, N1 და N2 ქუჩებისათვის სახელის შეცვლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ''.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N63.63222485 განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდი ჯიხაიში, N15 ქუჩისათვის სახელის შეცვლისა და ვლადიმერ ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ''.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ, განიხილა სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლისათვის, ტარიელ ჩაჩუას, სახელის მინიჭების საკითხი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს. სამინისტროს თანხმობის შედეგად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2021 წლის 20 დეკემბერს N63.632135440 განკარგულებით ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლისათვის, ტარიელ ჩაჩუას სახელის მინიჭებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ'', დაბლა გომის საჯარო სკოლას მიენიჭა

ტარიელ ჩაჩუას სახელი. საქრთველოს კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის თანახმად, 2022 წლის 25 მარტს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიაზე განხილულ იქნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2022 წლის 6 (ექვსი) თვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. (ანგარიში საკრებულოს სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული). სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის N 63220954 ბრძანებით დამტკიცებული განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმის მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ -ებთან. კერძოდ:

1. საჭიდაო კლუბი ფალავანი.
2. კომპლექსური სპორტული სკოლა.
3. რაგბის კლუბი ფენიქსი.
4. კლუბი ჯიკო.
5. ხელბურთელთა კლუბი სამტრედია.
6. შ.პ.ს სპორტ კომპლექსი სამტრედია.
7. საცხენოსნო კლუბი.

ა(ა)იპ წარმოადგინეს ანგარიშები 2022 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ. აქვე მოგაგახსენებთ, რომ კომისია აგრძელებს ა(ა)იპებთან მუშაობას როგორც გაწეულ მუშაობაზე ასევე სამომავლო გეგმებზე. როგორც თქვენთვის ცნობილია სამტრედიის მუნიციპალიტეტში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები როგორც სპორტული ასევე საგანმანათლებლო. მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია აქტიურად იყო ჩართულ აღნიშნულ ღონისძიებებში. ასევე განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიაზე განხილულ იქნა მოქალაქეების განცხადებები. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებლობების ფარგლებში გაეწიათ დახმარება და კანონის შესაბამისად, მოყვა შემდგომი რეაგირება. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია სამუშაო გეგმის მიხედვით, აგრძელებს მუშაობას''.

დაადგინეს: ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ, მიღებულია ცნობად. კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ",

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის № გ-6363213542 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

5. ინფორმაცია,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის აგვისტოს თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, გ.არველაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 999.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.62.476), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 18.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.48.696), ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე, 21.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი,ს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.836), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე, 80.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.308), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაურში მდებარე, 50300.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.58.339) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე, 6762.00 კვ.მ. სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.49.517) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

7. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) მეორე სართულზე არსებული 11.1 კვ.მ. ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

8. ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე, №1 შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ,,ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი-412767448) გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

9. ქალაქ სამტრედიაში, ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.972) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენის შესახებ

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

10. ქალაქ სამტრედიაში, წინსვლის ქუჩაზე მდებარე, 55555.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.61.123) 2017 წლის 24 მაისის იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის 25 წლით განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე, 91022.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი

ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.097) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

12. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში განსახორციელებელი 18 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 6117.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.50.422) - სამედიცინო ამბულატორიის სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯავახოში მდებარე, 1248.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 (საერთო ფართი 225.8 კვ.მ) და №2 (საერთო ფართი 38.4 კვ.მ) შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.11.44.096) - სამედიცინო ამბულატორიის სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

15. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133717 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

16. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N გ-63.632133716 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

17. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო,

სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

18. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

19. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ი.მელაშვილი/

20. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2022 წლის 3 ოქტომბერს, 11^{00} საათზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი